

ცოცხალი აგიტაციის ქმედითი ძალა

თამბაქოს სანერგე მეურნეობაში მესამე ბრიგადის წევრები შეკრებილიყვნენ. ისინი დიდი ყურადღებით უსმენდნენ კომკავშირელი აგიტატორის ს. კინოსიანის მორიგ საუბარს თემაზე „ჯანსაღი ჩითილი თამბაქოს უხვი მოსავლის საწინდარია“. მან კოლმეურნეებს დაწვრილებით მოუთხრო, რა მნიშვნელობა აქვს საგაზაფხულო სამუშაოების მაღალხარისხოვნად ჩატარებას სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მისაღებად, ამასთან ხაზი გაუსვა თამბაქოს სანერგის მოწყობის ნაკლოვანებებს: საკმაო რაოდენობით არ იყო დამზადებული ნაკელი; ნელი ტემპით მიმდინარეობდა სასათბურე ჩარჩოების შეკეთება; ნაცვლად 18-20 სანტიმეტრისა, ზოგან ნიადაგი გადაბარული იყო 15-16 სანტიმეტრის სიღრმეზე, რაც უარყოფითად იმოქმედებდა ჩითილებზე, ფესვებს გადგმის საშუალებას არ მისცემდა ნიადაგში.

აგიტატორის კონკრეტულმა შენიშვნებმა გავლენა იქონია საქმეზე და მალე მდგომარეობა გამოსწორდა. ამჟამად სანერგე მეურნეობაში სანიმუშო წესრიგია. მიწა ფორმირებულია, მასში შეიტანეს ორი წილი კარგად გადამწვარი და გაორთქლილი ნაკელი, ერთი წილი სილა, ერთი წილი მიწა, გარდა ამისა, ნათესი ფართობის ყოველ კვადრატულ მეტრზე შეტანილი იქნა 60-70 გრამი ფოსფორი და 30-35 გრამი გოგირდმყავა ამონიუმი. ერთ კვადრატულ მეტრზე ჩათესეს თითო გრამი კარგად გაღვივებული თესლი. აქ წელს გამოიყვანენ ორ მილიონზე მეტ ჩითილს. ბრიგადა 16 ჰექტარზე გააშენებს თამბაქოს პლანტაციებს. პარალელურად მიმდინარეობს თამბაქოს დასარგავი და სიმინდის დასათესავი ნიადაგის მომზადება, აგროწესების ზუსტად დაცვით ტარდება ყველა სახის სამუშაო, უკვე მოხსულია ათამდე ჰექტარი ფართობი.

ს. კინოსიანი ყოველთვის გულმოდგინედ ემზადება ახალგაზრდებთან შეხვედრისათვის, არჩევს საინტერესო მასალებს და გასაგები ენით გადასცემს მსმენელებს, საუბრებს მჭიდროდ უკავშირებს ბრიგადის წინაშე მდგომ პრაქტიკულ ამოცანებს, მის თვითველ წევრს რაზმავს საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისათვის საბრძოლველად. მან მიაღწია იმას, რომ ყველა კოლმეურნე ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში და პირნათლად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას.

ზ. დემერჩიანი დაუდევრობას იჩენდა საკოლმეურნეო შრომისადმი, მეტ დროს საკარმიდამო ნაკვეთზე მუშაობას ანდობებდა, რის შედეგადაც იგი ჩამორჩა. აგიტატორმა მოიწვია ბრი-

გადის წევრები და ჩაატარა საუბარი: „კოლმეურნეთა პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების შეხამება კოლმეურნეობათა განმტკიცების საწინდარია“. მან განმარტა, რომ საერთო ძალით შრომა კოლმეურნეთა შეძლების ძირითადი წყაროა, და რომ პირველ რიგში აქ უნდა გამოვიჩინოთ თავი, ხელი შევუწყოთ კოლმეურნეობის გამდიდრებას, ვინაიდან ეს მისი თვითველი წევრის გამდიდრებასაც ნიშნავს. რა თქმა უნდა, საკარმიდამო ნაკვეთი შეუწელებელ ყურადღებას მოითხოვს, მაგრამ საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ ისინი ერთმანეთს არ დაუპირისპიროთ. ზ. დემერჩიანმა საუბრის შედეგად დასამუშავებლად აიღო 0,60 ჰექტარი ფართობი და ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 780 კილოგრამისა, სამშობლოს ჩააბარა ერთ ტონაზე მეტი თამბაქო. მიმდინარე წელს კი გადაწყვიტა ამავე ნაკვეთიდან 1.300 კილოგრამის მიღება. მასთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულმა მ. არუთინიანმა 0,70 ჰექტარიდან სახელმწიფოს ჩააბარა 1.354 კილოგრამი თამბაქო, წელს კი ტონანახევრის მოწყვას ვარაუდობს.

აგიტატორმა შეამჩნია, რომ ა. გარანიანი პლანტაციის დამუშავებისას არღვევდა აგროწესებს. მან აგრონომის დახმარებით ჩაატარა საუბარი თემაზე „როგორ მოვუაროთ თამბაქოს ნარგავებს“. მითითების თანახმად ა. გარანიანმა დარგვიდან 8-10 დღის შემდეგ ჩაატარა პირველი გათონა, თვითველ ძირზე შეიტანა 6-7 გრამი აზოტი, შემდეგ მეორედ და მესამედ გათონა. სუსტ ნარგავებს დამატებით კვებავდა აზოტოვანი სასუქით, პლანტაცია მუდამ ფხვიერი და სარეველა მცენარეებისგან გასუფთავებული იყო. ა. გარანიანმა გადაჭარბებით შეასრულა ვალდებულება.

თამბაქოს მოსავლის აღების დაწყებისას აგიტატორმა ჩაატარა საუბარი თემაზე „გავუფრთხილდეთ საკოლმეურნეო დოვლათს“. მან მოუთხრო კოლმეურნეებს მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბრძოლას დანაკარგების წინააღმდეგ. მ. ზაქარიანი ზოგჯერ თამბაქოს შეტეხას აწარმოებდა შუადღისას, ეს კი არ შეიძლება, რადგან ამ დროს ფოთოლში მცირე რაოდენობითაა ნახშირწყლები და სახამებელი, ყუნწი ცუდად მოტყდება ღეროს. ს. აკობიანი სათანადო ყურადღებას არ აქცევდა დანაკარგებს. მარტო ერთ დღეს მან პლანტაციაში 30 ცალი თამბაქოს შეტეხილი ფოთოლი დატოვა. თითქოს ეს წვეთია ზღვაში, — თქვა აგიტატორმა. — მაგრამ ზღვა წვეთებისგან შედგება.

სულ მალე მ. ზაქარიანმა და ს. აკობიანმა გამოასწორეს ნაკლოვანებანი, თვითველმა 400-400 კილოგრამი თამბაქო დაამზადა გეგმის გადაშეტებით.

ქმედითი აგიტაციის შედეგად III ბრიგადა ყველაზე მოწინავეა გაგრის რაიონის სოფელ კოლხიდის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობაში. ბრიგადამ პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად 8 ტონა ზეგეგმითი თამბაქო ჩააბარა სამშობლოს. აქ სანიმუშოდ აქვთ მოვლილი 2 ჰექტარი ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციები.

მიმდინარე წელს ბრიგადამ პირობა დადო 16 ჰექტარი ფართობის თვითველ ჰექტარზე 21 ცენტნერი თამბაქო მიიღოს, ხოლო სიმინდის საშუალო საჰექტრო მოსავლიანობა 45 ცენტნერამდე აიყვანოს. ბრიგადის წევრები აქედანვე უყრიან საფუძველს უხვ მოსავალს.

ბრიგადაში დიდი ინტერესი გამოიწვია აგიტატორის საუბარმა თემაზე „ჩვენი კოლმეურნეობა მეექვსე ხუთწლეულში“.

—მექვსე ხუთწლეულში,—თქვა ს. კინოსიანმა,—მნიშვნელოვნად გაიზრდება საკოლმეურნეო დოვლათი, შეძლებული და კულტურული განდება არტელის წევრთა ცხოვრება. 60 ჰექტარზე გაშენდება ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციები, ვენახის ფართობი 10 ჰექტარით გადიდდება, 24 ჰექტარს დაიკავებს ბოსტნეულ-ბაღიერი კულტურები, თამბაქოს საშუალო საჰექტრო მოსავლიანობა 20 ცენტნერს მიაღწევს, ხოლო სიმინდისა — 40 ცენტნერს. საფურაყე ძროხების რაოდენობა 80 სულამდე გადიდდება, თვითველის საშუალო წველადობა წელიწადში 1.800 ლიტრს მიაღწევს. გაუმჯობესდება მდგომარეობა მეფუტკრეობასა და მეაბრეშუმეობაში. მექანიზებული იქნება მეცხოველეობის ფერმა, აშენდება ხე-ტყის სახერხი ქარხანა, გავიყვანთ წყალსადენს. უახლოეს მომავალში დამთავრდება კოლმეურნეობაში კულტურის სახლის მშენებლობა, აქვე იქნება ბიბლიოთეკა. კეთილმოეწყობა გზები, დაირგვება ათასობით ძირი დეკორაციული მცენარე.

ამ სამუშაოთა განსახორციელებლად საჭიროა როგორც ყველა კოლმეურნის, ისე ბრიგადის თვითველი წევრის თავდადება შრომა, რადგან საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი ზრდა ჩვენი დოვლათის ძირითადი წყაროა, — დასძინა დასასრულს აგიტატორმა.

აგიტაციის ქმედითი ძალა საკოლმეურნეო ცხოვრების ყოველ ნაბიჯზე იჩენს თავს.

ს. ზანტურიძე

გაგრის რაიონი.